# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 327

20 11 წ. "06" 10

**ქ. თბილისი**

ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირის (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის) ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირს (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმს) (საიდენტიფიკაციო კოდი: 204902203) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2. ა(ა)იპ - საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირს (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმს) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 6, 7, 10 ოქტომბრის №25 სხდომის ოქმის მე-10 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია